სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება N2.9.18/10/038

ქ. თბილისი

06 აპრილი 2015 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ ქ. თბილისის კრწანისის რაიონის გამგეობა (შემდგომში ,,შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი გამგებლის გიორგი კოპალეიშვილის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „ლაგო"** (ს/ნ 424611441) (შემდგომში ,,მიმწოდებელი") მისი დირექტორის გოჩა გოჩიაშვილის სახით,

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, შემსყიდველი განახორციელებს ქ. თბილისის კრწანისის რაიონის ტერიტორიაზე, საბანაძის ქუჩა N4-ის და წალკის ქუჩის კუთხეში ავარიული საცხოვრებელი სახლის დროებითი გამაგრების, რკინა-ბეტონის საყრდენი კედლის და ქვაფენილის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვას, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (კლასიფიკატორის (CPV) კოდი № 45200000).

2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

2.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;

2.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

2.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე;

2.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

2.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. ქ. თბილისის კრწანისის რაიონის ტერიტორიაზე, საბანაძის ქუჩა N4-ის და წალკის ქუჩის კუთხეში ავარიული საცხოვრებელი სახლის დროებითი გამაგრების, რკინა-ბეტონის საყრდენი კედლის და ქვაფენილის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა (CPV 45200000).

3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის აღწერა და ფასები მოცემულია ხელშეკრულების დანართ N1-ში, რომელიც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

4. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

4.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **27410,11** (ოცდაშვიდი ათას ოთხას ათი ლარი 11 თეთრი) ლარს.

4.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს მიმწოდებლისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა გადასახდელს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების საბოლოო ვადაა **2015 წლის 06 მაისის ჩათვლით;**

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, კრწანისის რაიონის ტერიტორია.

5.3. შესყიდვის ობიექტი მიწოდებულად ითვლება ორმხრივ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. სამუშაოების ეტაპობრივი ჩაბარება არ ხორციელდება.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2015 წლის 08 ივნისის ჩათვლით.**

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შემსყიდველის მიერ შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტზე მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლებისა და შემსყიდველის (მე-17 მუხლის 17.4. პუნქტში მითითებული პირების) ხელმოწერით;

7.2. თუ შესყიდვის ობიექტი არ აკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს, იგი უფლებამოსილია მოითხოვოს არსებული ხარვეზების გამოსწორება. ხარვეზების გამოსწორებამდე შემსყიდველი უფლებამოსილია უარი სანაცვლო ვალდებულების შესრულებაზე, რის შესახებაც მიმწოდებელს ეცნობება წერილობით;

7.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების, ასევე მე-3 პირის დაზიანებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს;

7.4 მიღება-ჩაბარება გაფორმდება ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის მიერ გაცემული დადებითი (შესრულებული სამუშაოს თაობაზე) საექსპერტო დასკვნის ან/და მათ მიერვე დამოწმებული ფორმა N2-ს წარმოდგენის შემდგომ. (ფორმა N2 დამოწმებული უნდა იყოს ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის მიერ).

8. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

8.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ შესყიდვის ობიექტი იქნება სტანდარტებთან შესაბამისობაში;

8.2. შემსყიდველი ვალდებულია საგარანტიო პერიოდში წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს ნაკლის აღმოჩენის შესახებ;

8.3. შეტყობინების მიღების შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადაში აღმოფხვრას არსებული დეფექტები საკუთარი ხარჯით. საგარანტიო პერიოდში მიმწოდებელს დაეკისრება, როგორც ხელშეკრულების ობიექტის დეფექტების აღმოფხვრა, ასევე აღნიშნული დეფექტების შედეგად შემსყიდველისა და მესამე პირებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება;

8.4. თუ მიმწოდებელი ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებით მიღებული შეტყობინების შემდეგ არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებლის ხარჯით უზრუნველყოს არსებული დეფექტების გამოსწორება;

9. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და ადგილი

9.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში;

9.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით;

9.3. წინასწარი/ეტაპობრივი ანგარიშსწორება გათვალისწინებული არ არის;

9.4. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.4. და 7.5. პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, არაუმეტეს 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში;

9.5. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დაარღვევს შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადებს ან სხვა გარემოებების გათვალისწინებით დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას სანაცვლო ვალდებულების შესრულებაზე მიმწოდებლის მიერ პირგასამტეხლოს თანხის სრული ოდენობით დაფარვამდე;

9.6. ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

10. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

10.1. შემსყიდველი ვალდებულია:

გადასცეს მიმწოდებელს ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა არსებითი გარემოების შესახებ;

10.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

ბ) წარმოქმნილი აუცილებლობის შემთხვევაში დააზუსტოს შესასრულებელი სამუშაოების ნუსხა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საერთო ღირებულების ფარგლებში;

გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება;

10.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

ბ) დააკმაყოფილოს შემსყიდველის მოთხოვნა დამატებითი მონაცემებისა და გარანტიების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით;

10.4. მიმწოდებელს უფლება აქვს:

მოთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოების საბოლოო ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

11.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

11.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2%-ის ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3%-ის, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და უარი განაცხადოს სანაცვლო ვალდებულებების შესრულებაზე;

11.3. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. აღნიშნულ შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება ჯარიმის გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ს ოდენობით;

11.4. თუ შესრულებული სამუშაოების ხარისხი არ შეესაბამება მოთხოვნას, მიმწოდებელი ვალდებულია უსასყიდლოდ მოახდინოს ნაკლის გამოსწორება 7.2. და 7.3. პუნქტებით გათვალისწინებული წესით. თუ იგივე ფაქტი განმეორდება, მიმწოდებელს ნაკლის გამოსწორებასთან ერთად ეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%-ს ოდენობით. მესამედ იგივე შემთხვევა იწვევს მიმწოდებელის დაჯარიმებას ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ს ოდენობით და შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და უარი განაცხადოს სანაცვლო ვალდებულებების შესრულებაზე.

12. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით ხელშეკრულების შესრულების გარანტია არ მოითხოვება.

13. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

13.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;

13.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია კომუნიკაციური საშუალების ნებისმიერი ფორმით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

13.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

13.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა;

13.5. ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება ფორმდება დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

14. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

14.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით;

14.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

15. ფორს-მაჟორი

15.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ;

15.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე;

15.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

16. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

16.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

16.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

17. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი

17.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან;

17.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით;

17.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ შემოწმებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

17.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ ქ. თბილისის კრწანისის რაიონის გამგებლის მოადგილე ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხებში, ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსი და ამავე განყოფილების შესაბამისი სპეციალისტ(ებ)ი;

17.5. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრილების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუსაო პირობები. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდველი ორგანიზაცია.

18. სხვა პირობები

18.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

18.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ საკუთარი სახელით, ხარჯითა და რისკით;

18.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

18.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

18.5. ყველა დანართი და ხელშეკრულების დამატება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და სავალდებულოა შესასრულებლად;

18.6. მხარეები სრულად არიან პასუხისმგებელი მათ მიერ ხელშეკრულებაში მითითებული რეკვიზიტების სისწორეზე. რეკვიზიტების ცვლილების თაობაზე მეორე მხარეს ეცნობება წერილობით;

18.7. ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით. იმ შემთხვევაში თუ მხარისათვის შეტყობინების გადაცემა ვერ ხერხდება ხელშეკრულებაში აღნიშნულ მისამართზე იმის გამო, რომ მისამართი არასწორადაა მითითებული, შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად და შეტყობინებაში მითითებული ვადების ათვლა განხორციელდება საფოსტო გზავნილის შესაბამის მისამართზე წარდგენის მომდევნო დღიდან.

19. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

<u>შემსყიდველი</u> **ქ. თბილისის კრწანისის რაიონის გამგეობა** მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N 115; საიდენტიფიკაციო ნომერი: **204 521 776** საბანკო რეკვიზიტები: ხაზინის ერთიანი ანგარიში ქ. თბილისის კრწანისის რაიონის გამგებელი **გიორგი კოპალეიშვილი** ---------- (ტელ: 237-87-31)	<u>მიმწოდებელი</u> **შპს „ლაგო“** მის: ახმეტა ერისთავის ქ.N3 საიდენტიფიკაციო ნომერი: **424 611 441** საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი“ ანგარიშის **NGE03LB0113171451592000** ბანკის კოდი: LBRTGE22 დირექტორი **გოჩა გოჩიაშვილი** ---------- (ტელ: 599-56-67-72)

ქ. თბილისში, საბანაძის ქუჩა №4-ის და წალკის ქუჩის კუთხეში ავარიული საცხოვრებელი სახლის დროებითი გამაგრების, რკ. ბეტ. საყრდენი კედლის და ქვაფენილის მოწყობის სამუშაოების

ხარჯთაღრიცხვა

№	სამუშაოს დასახელება	განზ. ერთ.	რაოდ ენობა	მასალა		ხელფასი		ტრანსპორტი და მექანიზმები		ჯამი
				ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	ხარაჩოების მონტაჟი და დემონტაჟი	მ ^{2}	50,00	2,5	125,00	2,0	100,00	1	50,00	275,00
2	II ჯგუფის გრუნტის დამუშავება ხელით	მ ^{3}	58,00	0	0,00	20,0	1160,00	0	0,00	1160,00
3	დანგრეული კედლის სამშენებლო ნაგვის და გრუნტის გამოზიდვა შენობიდან 20 მ-მდე მანძილზე ხელით	მ ^{3}	16,00	0	0,00	15,0	240,00	0	0,00	240,00
4	საფუძვლის მომზადება ღორღით	მ ^{3}	1,90	18,4	34,96	5,00	9,50	10,00	19,00	63,46
5	ლითონის კონტრფორსების საძირკვლის მოწყობა B-18,5 ბეტონით	მ^3	2,3	105	241,50	60,0	138,00	15	34,50	414,00
	არმატურა A-III d=16 მმ	ტ	0,20	1271	254,20	0,00	0,00	50,00	10,00	264,20
6	დროებითი გამაგრების (კონტრფორსების) მოწყობა ლითონის №16 შველერებით	ტ	1,800	0	0,00	700,00	1260,00	25,00	45,00	1305,00
	შველერი №16	ტ	1,80	1520	2736,00	0,00	0,00	30,00	54,00	2790,00
	ფოლადი ფურცლოვანი, სისქით 10 მმ	მ^2	0,5	116,4	58,20	0	0,00	10,0	5,00	63,20
7	რკინაბეტონის საყრდენი კედლის მოწყობა B-18,5 ბეტონით	მ^3	16,0	105	1680,00	60,0	960,00	15	240,00	2880,00
	არმატურა A-III A-I	ტ	1,12	1271	1423,52	0,00	0,00	50,00	56,00	1479,52
	დახერხილი ხის მასალა ყალიბებისათვის	მ^3	1,4	450	630,00	0,0	0,00	15	21,00	651,00

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
8	შესაგოზი ჰიდროიზოლაცია, (ორჯერად) ცხელი ბიტუმით, პრაიმერით დამუშავებულ კედელზე	მ ^{2}	18,00	4	72,00	2,00	36,00	1,00	18,00	126,00
9	d=100 მმ პლასტმასის მილი დრენაჟიდან წყლის გამოსაყვანად	გრძ.მ	6,00	4,5	27,00	5,00	30,00	0,00	0,00	57,00
10	თიხის 20 სმ–იანი შრის მოწყობა დრენაჟისათვის	მ^3	1,20	55	66,00	15,00	18,00	10,00	12,00	96,00
11	ღორღის ფენის მოწყობა დრენაჟისათვის, ფრაქცია 40–70 მმ	მ^3	5,50	16,8	92,40	15,00	82,50	10,00	55,00	229,90
12	ბალასტის უკუჩაყრა, (დატკეპნით)	მ^3	30,00	9	270,00	15,00	450,00	0,00	0,00	720,00
13	საპროექტო რკ. ბეტონის კედლის შელესვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით	მ^2	16,0	0	0,00	6	96,00	1	16,00	112,00
	ხსნარი მოსაპირკეთებელი, მძიმე, ცემენტის 1:2	მ^3	0,80	95	76,00	0	0,00	15	12,00	88,00
14	ლითონის ელემენტების გაწმენდა და ორი პირი შეღებვა	მ^2	40,0	0	0,00	4	160,00	1,0	40,00	200,00
	ანტიკოროზიული საღებავი	კგ	12,0	6	72,00	0	0,00	0,0	0,00	72,00
15	სამშენებლო ნაგავისა და ზედმეტი გრუნტის დატვირთვა ავტო თვითმცლელზე და გატანა	ტ	131,5	0	0,00	8	1052,00	12,0	1578,00	2630,00
	ქვაფენილის მოწყობისათვის მოსამზადებელი სამუშაოები									0,00
16	დაზიანებული ქვაფენილის დემონტაჟი და დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	მ^2	36,00	0,00	0,00	5,50	198,00	1,50	54,00	252,00
17	ქვესაგების მოხსნა და დატვირთვა ავტო თვითმცლელზე	მ^3	7,20	0,00	0,00	17,00	122,40	3,00	21,60	144,00
18	არსებული სამშენებლო ნაგვის დატვირთვა ავტოთვითმცლელზე და გატანა ნაგავსაყრელზე	მ^3	15,12	0,00	0,00	8,00	120,96	12,00	181,44	302,40
	ქვაფენილის მოწყობა									0,00
19	საფუძვლის ზედა ფენის მოწყობა 0-40 ფრაქციული ღორღით და მისი ვიბროსატკეპნით შემკვრივება k=1.26	მ^3	4,54	18,00	81,65	8,00	36,29	19,00	86,18	204,12

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
20	გასამაგრებელი ზოლის (ჩამკეტის) მოწყობა ბეტონით B-22.5	$მ^3$	1,80	108,00	194,40	50,00	90,00	30,00	54,00	338,40
21	ქვესაგების მოწყობა ქვიშისა და მშრალი ცემენტის ნარევით (ცემენტი 20%)	$მ^3$	9,90	80,00	792,00	6,50	64,35	10,00	99,00	955,35
22	ქვაფენილის მოწყობა ახალი რიყის ქვით	$მ^2$	30,00	5,50	165,00	20,00	600,00	3,00	90,00	855,00
23	ქვაფენილის ზედაპირის შევსება(ჩასოლვა) ცემენტ ნარევი ფრაქციული ღორღით 0-10 მმ($1,0მ^3/100მ^2$)(ცემენტი 20 %)	$მ^3$	0,30	49,00	14,70	4,00	1,20	0,00	0,00	15,90
24	**ლოკალური უწყისის ჯამი**				**9106,53**		**7025,20**		**2851,72**	**18983,45**
25	ზედნადები ხარჯები 10%									1898,35
26	ჯამი									20881,80
27	გეგმიური დაგროვება 8%									1670,54
28	ჯამი									22552,34
29	გაუთვალისწინებელი ხარჯები 3%									676,57
30	ჯამი									23228,91
31	დ.ღ.გ. 18%									4181,20
	სულ ხარჯთაღრიცხვით	**ლარი**								**27410,11**

გამგებელი

გიორგი კოპალეიშვილი

შპს „ლოგო“-ს დირექტორი

გოჩა გოჩიაშვილი

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

თბილისი 0114, თავისუფლების მოედანი 2, ტელ: +995 (32) 2 15 92 92; www.sakrebulo.ge
FREEDOM SQUARE 2, 0114 TBILISI, GEORGIA; TEL: +995(32) 2 15 92 92; www.sakrebulo.ge

№ 04/6287; 04/6688; 04/6815; 04/6816

"06" აპრილი 2015 წ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ დავით ნარმანიას

ბატონო დავით,

გაცნობებთ, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა თქვენი 2015 წლის 30 მარტის N05-1/1508940 (ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში რეგისტრაციის თარიღი და ნომერი: 30 მარტი, N04/6287), 2015 წლის 02 აპრილის N05-1/15092935 (ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში რეგისტრაციის თარიღი და ნომერი: 02 აპრილი, N04/6688), ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის, მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) 2015 წლის 03 აპრილის წერილი N05-2/150931552 (ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში რეგისტრაციის თარიღი და ნომერი: 06 აპრილი, N04/6815) და N05-2/150931554 (ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში რეგისტრაციის თარიღი და ნომერი: 06 აპრილი, N04/6816) წერილები.

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის და "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, გაძლევთ წერილობით თანხმობას ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე გამარტივებული შესყიდვის განხორციელების თაობაზე:

1. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურს მიეცეს წერილობითი თანხმობა ქ.თბილისში, მოსკოვის გამზირის N38ა-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლზე გამაგრება-გაძლიერების წინმსწრებ-დამზღვევი სამუშაოების ტექნიკური საპროექტო ხარჯთაღრიცხვა და შესაბამისი სამუშაოები განახორციელოს გამარტივებული შესყიდვით (ფორს-მაჟორი);

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობას მიეცეს წერილობითი თანხმობა საბანაძის ქუჩა N4-სა და წალკის ქუჩის კვეთაზე შესასრულებელი სამუშაოების (გზის საფარის რეაბილიტაცია, საყრდენი კედლის მოწყობა, მესაფეხის დროებითი გამაგრება, მზიდი კედლების აღდგენა), შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, რომლის სავარაუდო ღირებულება შეადგენს არაუმეტეს 27410.11 ლარს;

05/150961574-1
06.04.2015

3. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურს მიეცეს წერილობითი თანხმობა ქ.თბილისში, რუსთავის გზატკეცილიდან ზემო ფონიჭალისკენ მიმავალი საავტომობილო მაგისტრალის გასწვრივ მდებარე კლდის მონაკვეთზე, კლდოვანი მასის ჩამოშლის შედეგად, დაზიანებული საფეხმავლო ხიდის ერთი მალისა და ასასვლელი კიბის უჯრედის დემონტაჟის, რეკონსტრუქციისა და შემდგომი მონტაჟის სამუშაოები განახორციელოს გამარტივებული შესყიდვით (ფორს-მაჟორი);

4. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურს მიეცეს წერილობითი თანხმობა ქ.თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე, V კვარტალში მდებარე N1 ავარიული საცხოვრებელი სახლის მე-6 ბლოკზე გამაგრება-გაძლიერების წინმსწრებ-დამზღვევი სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურება და შესაბამისი სამუშაოები განახორციელოს გამარტივებული შესყიდვით (ფორს-მაჟორი).

პატივისცემით,

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი